

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ბიზნესის მართვის ფაკულტეტი

ბანკების კონკურენცია და უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს  
საბანკო სისტემაზე

მეთინ მერჯანი

სადოქტორო ნაშრომის ავტორეფერატი ბიზნესის მართვაში  
(ფინანსები და საბანკო საქმე)

თბილისი 2011

ხელმძღვანელი: პროფ. დოქტ. თემურ ბერიძე

.....

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები:

ასოც. პროფ. დოქტ. გიგა გველესიანი .....

ასოც. პროფ. დოქტ. თეა კბილცეცხლაშვილი.....

ოპონენტები:

პროფ. დოქტ. მისეილ ტოკმაზიშვილი .....

პროფ. დოქტ. ნინო ჯღამაძე .....

## 1. ნაშრომის მოკლე შინაარსი

### პრობლემის აქტუალობა

საბანკო სისტემა წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს ყველა სახელმწიფოში. ზოგადად, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს გააჩნია შეხება ფინანსური სახის საშუაშაველო ინსტიტუტებთან. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით დიდ როლს იძენს განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა იგივე ითქმის განვითარებად და გარდამავალი ქვეყნების მიმართაც. უღაოა ის ფაქტი, რომ ბანკები არიან უმთავრესი აგენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მსესხებელთა და მეანაბრეთა დაკავშირებას; ისინი აადვილებენ კაპიტალის გაცვლა-გამოცვლას და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკაში, რადგანაც ისინი ახდენენ რესურსების გადანაწილებას ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში. ხელისუფლება თავის მხრივ ასევე ატარებს ფინანსურ პოლიტიკას ეკონომიკისა და საბანკო სისტემის რეგულირებისათვის.

საქართველომ განიცადა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაცია ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ეკონომიკური სისტემიდან ქვეყანა გადავიდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე, საქართველომ განახორციელა ფართო მასშტაბიანი ეკონომიკური და ფინანსური რეფორმები ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციისა და მამოძრავებელი საბაზრო ძალების ჩამოყალიბების მიზნით.

აღნიშნულმა რეფორმებმა შეზღუდეს სასაქონლო და ფინანსური ბაზრები, მოახდინეს სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი საწარმოების რესტრუქტურისაცია და პრივატიზაცია გლობალური კონკურენციისამდი მათი გახსნის მიზნით. გარდამავალი ფაზის ფარგლებში ფინანსური სექტორების გაძლიერებისა და რესტრუქტურისაციის პარალელურად გაუმჯობესდა საბანკო-ფინანსური სერვისების რეგულირება, რაც თავის მხრივ, გათვლილი იყო სტაბილური ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად და საბაზრო ძალების ჩამოსაყალიბებლად. სახელმწიფო ბანკების პრივატიზაციამ და შიდა და გარე

საბაზრო პროდუქციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებამ გაზარდა ისეთი კომერციული ბანკების რიცხვი, რომლებიც ოპერირებდნენ არაეფექტურ ეროვნულ ბაზარზე, რითაც გამოიწვიეს ღრმა ცვლილებები კონკურენტუნარიან საბანკო სისტემაში. ზემოთ მოყვანილი გარემოებები და მიზეზები წარმოადგენენ აღნიშნული კვლევის საგანს.

პირველ ყოვლისა, ფინანსური ბაზრების რეფორმირება და ლიბერალიზაცია გათვლილია საქართველოს ფინანსური და საბანკო სისტემების გაუმჯობესებაზე. დერეგულაციამ და ლიბერალიზაციამ, რომელსაც თან სდევს ტექნოლოგიური განვითარებები, მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს ფინანსური სერვისების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანი სტრუქტურა.

შემდგომ, მოცემულ ეტაპზე უცხოური ინვესტიციები შეადგენენ ქართული საბანკო კაპიტალის 90 პროცენტს, 19 ბანკიდან 15 კი უხცოური კაპიტალით კონტროლდება (რეგულირდება) (საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველწლიური ანგარიში, 2009). გარდამავალ ფაზაში მყოფ ბევრ სახელმწიფოს საბანკო ბაზრის 80 პროცენტს აკონტროლებს სწორედ უცხოური კაპიტალი.

უცხოური მფლობელობის წილი საბანკო სექტორში აჩენს საინტერესო კითხვას იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობენ უცხოური ბანკები გარდამავალი ეკონომიკისათვის. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მე დავინტერესდი ქართულ საბანკო სისტემაში უცხოური ინვესტიციების საკითხით.

და ბოლოს, მზარდმა აკადემიურმა ინტერესმა საკითხის მიმართ და საბანკო სექტორთან დაკავშირებული კვლევების სიმცირემ გამოიწვია ჩემი მოტივაცია გარდამავალი ქართული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შესწავლისთვის.

## **კვლევის საგანი**

ნაშრომის პირველი ნაწილის საგანია ქართული საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის აღწერა ვარდების რევოლუციამდელ და შემდგომ პერიოდებში. ნაშრომის მეორე ნაწილში ხდება კვლევის ფოკუსირება უცხოურ ინვესტიციებზე ქართულ საბანკო სექტორში და მათ გავლენაზე შიდა და ზოგადად, საბანკო შემოსავლებზე. დასკვნით ნაწილში ხდება კონკურენციისა და უცხოური ინვესტიციების განსაზღვრა მოცემულ სექტორში. აღნიშნულ

ნაწილში გამოვლენილია იმის მიზეზები, თუ რატომ იწვევს უცხოური ინვესტიციები კონკურენციის დონის ზრდას ბანკებს შორის. ამასთანავე, მოცემული კვლევა აანალიზებს M&A (შერწყმისა და შესყიდვების) მოდელს საბანკო სისტემაში.

ნაშრომის ფარგლებში აგრეთვე ხდება საბანკო სექტორში ფინანსურ განვითარებასა და უცხოურ ინვესტიციებს შორის ურთიერთკავშირის გაანალიზება. კვლევის ძირითადი დანიშნულებაა ფინანსური ლიბერალიზაციისა და საბანკო სექტორის რეფორმათა შედეგების ჩვენება საქართველოს ხელისუფლებისადმი ვარდების რევილუციის წინა და შემდგომ პერიოდებში. კვლევის მეორადი დანიშნულებაა უცხოური ინვესტიციების გავლენის ხარისხის დადგენა საბანკო სისტემაში იმის შემდეგ, რაც საბანკო სისტემა შეიძენს კონკურენტუნარიანობის გარკვეულ დონეს.

### **კვლევითი ჰიპოთეზა**

ჩვენი ვარაუდით, არსებობს მზარდი მონოპოლისტური საბანკო კონკურენცია 1999-2003 და 2003-2010 დროის მონაკვეთებში. მეორეც, კვლევას გააჩნია მნიშვნელობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესწავლისთვის საბანკო სექტორში. ჩვენი ვარაუდით, უცხოური ინვესტიციები საბანკო სექტორში პოზიტიურად განსაზღვრავს ბანკების შემოსავლების დონეს (შემოსავლების დონე წარმოადგენს ნაღდ პროცენტულ განაკვეთს, არა-საპროცენტო განაკვეთის შემოსავალს, მთლიან მოგებას და ა. შ.). და ბოლოს, ჩვენ ერთმანეთს ვუკავშირებთ უცხოური საბანკო-ფინანსური შემოდინებისა და შიდა კონკურენციის ხარისხებს. ასეთია კვლევის ფარგლებში განხილულ ვარაუდთა ჩამონათვალი:

### **კონკურენციის ჰიპოთეზა საბანკო სექტორში.**

დღემდე გამოყენებულ იქნა პანზარ-როზის მეთოდი საბანკო სექტორში კონკურენციის დონის განსაზღვრის მიზნით. ა. მკრტჩიანის (2005) მიერ აღნიშნული მეთოდი გამოყენებულ იქნა სომხეთში 1990-1993 დროის მინაკვეთის გასაანალიზებლად. გელოსის და როლდოსის (2002) მიერ კი იგივე მეთოდი გამოყენებულ იქნა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბაზრების მიმართ.

ზოგადად, ზემოთ აღნიშნული საბანკო-ფინანსურ შემოდინებათა კვლევები აჩვენებს რომ, როგორც წესი, განვითარებად ქვეყნებში ყალიბდება მონოპოლისტურ-კონკურენტული საბანკო-ფინანსური ბაზრები.

შესაბამისად, ჩვენი აზრით, საქართველოს საბანკო სისტემა უნდა წარმოადგენდეს მონოპოლისტური კონკურენციის მქონე საბანკო-ფინანსურ სისტემას.

H.1: მონოპოლისტური სახის კონკურენცია საქართველოს საბანკო სისტემაში მოცემული პერიოდის განმავლობაში.

2004 წლის იანვარში ვარდების რევოლუციის შემდგომმა ხელისუფლებამ გამოაცხადა ეკონომიკის გაუმჯობესებისა და რეფორმირების პრიორიტეტები, რაც მოიცავდა საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციას, უცხოური ინვესტიციების შემოდინებისათვის ყოველგვარი ბარიერების მოსპობას, დერეგულაციას, ბიზნესის დაწყების პროცესის გაადვილებასა და პრივატიზაციას, ისევე როგორც საჯარო სექტორის რეფორმირებას, რომელიც გამოიხატება კორუფციის აღმოფხვრაში, სამთავრობო სააგენტოების რიცხვის შემცირებას მათ უფლებათა შეზღუდვაში. სწორედ აღნიშნული რეფორმები გახდა უცხოური ინვესტიციების საქართველოში შემოდინების უმთავრესი მიზეზი. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ საქართველოს კონკურენტუნარიანობა მოცემულ სექტორში გაიზრდება.

H.2: კონკურენციის დონე საქართველოს საბანკო სექტორში გაიზარდა “ვარდების რევოლუციის” (2003) შემდგომ პერიოდში.

მრავალი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს ნეგატიური ურთიერთდამოკიდებულება კონცენტრირების ინდექსსა და კონკურენციის უნარს შორის. ჯ. ა. ბიქქერ-მა და კ. ჰააფ-მა (2000) თავიანთ კვლევაში დაადგინეს, რომ კონკურენციას გააჩნია ნეგატიური კავშირი კონცენტრაციის ინდიკატორების მიმართ ( $CR_k$  HHI). შესაბამისად, რადგანაც კონკურენციის თეორიის მიხედვით კონცენტრაციის დონის გაზრდა საბანკო სექტორში გამოიწვევს კონკურენტუნარიანობის დასუსტებას ზოგადად სექტორში, ვფიქრობთ, არსებობს

ნეგატიური ურთიერთდამოკიდებულება კონცენტრაციასა და კონკურენტუნარიანობას შორის.

H.3: კონცენტრირების დონის გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს კონკურენციის დონის შემცირება საქართველოს საბანკო სისტემაში.

H.4: კონკურენცია ბანკების საპროცენტო შემოსავლების მხრივ უფრო ინტენსიურია, ვიდრე მთლიანი შემოსავლების მხრივ.

წინა ნაშრომები უცხოური ბანკების მონაწილეობასა და ნაღდი პროცენტული მარაგების შესახებ (Hermes and Lensink 2002, 2003) ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ უცხოური ბანკების მიერ განხორციელებული შემოდინებები ასოცირდება მოკლევადიან პერსპექტივებში ბანკების მაღალ პროცენტულ მარაგებთან. ძალიან ხშირად მკვლევარები ადგენენ, რომ არ არსებობს სტასისტიკურად მნიშვნელოვანი ურთიერთობა ნაღდ პროცენტულ მარაგებსა და უცხოური ბანკების წილებს შორის (Zajc, 2003). აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ნაღდი პროცენტული მარაგი სავარაუდოდ დაკავშირებული უნდა იყოს სხვა ფაქტორებთან, მაგალითად, ისეთებთან, როგორცაა საერთო კონკურენციის დონე ბაზარზე, ბანკების მიერ კონტროლირებადი ბაზრის წილები, ფინანსური ბაზრების საპროცენტო განაკვეთები და ა. შ. მკვლევარებმა უნიტ-მა და სულლივან-მა (2003) ხაზი გაუყვეს იმ გარემოებას, რომ უცხოური ბანკების მიერ განხორციელებული შემოდინებები საპირისპირო ფორმით ასოცირდება შიდა ბანკების საპროცენტო განაკვეთებთან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საუბარია იმ ბანკებზე, რომლებიც განკუთვნილია ოჯახური ბიზნესის ჯგუფებისადმი. იქედან გამომდინარე, რომ მოსალოდნელია უცხოური ბანკების წილის გაზრდა, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახის ჰიპოთეზები:

H.1: ქართული ბანკების ნაღდი პროცენტული მარაგები ნეგატიურადაა დაკავშირებული უცხოური ბანკების წილებთან. საბანკო ბაზრებისთვის საერთო ტენდენციას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მზარდი კონკურენციის შედეგად სესხების გაცემიდან მიღებული შემოსავლები მცირდება, რადგანაც უცხოური ბანკების წილების ზრდა ზოგადად ასოცირდება კონკურენციის ზრდის მნიშვნელოვან შედეგებთან, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ბანკები ცდილობენ

თავიანთი არა-საპროცენტო შემოსავლების წილის გაზრდას იმისთვის, რომ შეაჩერონ პროცენტული მარაგების კლების ტენდენცია. ამავე დროს, მზარდმა კონკურენციამ რომელიც ასოცირდება უცხოურ ბანკებთან, შეიძლება აგრეთვე გამოიწვიოს არა-საპროცენტო შემოსავლების შემცირება, როდესაც ბანკები ცდილობენ შესთავაზონ უკეთესი პირობები და ფასები თავიანთ მომხმარებლებს. აქედან გამომდინარე, გაურკვეველი რჩება უცხოური საფინანსო-საბანკო შემოდინებების ეფექტი არა-საპროცენტო შემოსავლებზე. ჩვენ შევეცდებით ჩამოვყალიბოთ შემდეგი სახის ჰიპოთეზები:

H2: მოსალოდნელია, რომ უცხოური შემოდინებები გამოიწვევს არა-საპროცენტო შემოსავლების გაზრდას ან კლებას საქართველოს ადგილობრივ ბანკებში.

კლასენს-ის (Claessens *et al*,2001) მიხედვით უცხოური ბანკების დიდი საბაზრო წილი ასოცირდება ბანკების შედარებით დაბალ დანახარჯებთან, რაც მიუთითებს მათ მაღალეფექტურობაზე. განვითარებად ქვეყნებში იგივე კავშირი შეიძლება იყოს საპირისპირო სახის, ყოველ შემთხვევაში, მოკლევადიან პერსპექტივაში მაინც.

ადგილობრივი ბანკები უცხოურ საბანკო შემოდინებებზე რეაგირებენ მაღალი დანახარჯებით, რადგანაც ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი იმიჯი და მატერიალურ-ტექნოლოგიური ბაზა, რათა იყვნენ კონკურენტუნარიანი ბაზარზე. კიდევ ერთი ფაქტორი, რომლის მეშვეობითაც შეიძლება აიხსნას ბანკების დანახარჯების ზრდის მიზეზი არის რეგულირებადი დანახარჯები, რომლებსაც მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე უცხოური ბანკი იკავებს ადგილობრივი ბანკის ბაზრის წილს. ჩვეულებრივ, უცხოურ ბანკებს გააჩნიათ უფრო განვითარებული ტექნოლოგიები, რაც საშუალებას აძლევს მათ ჰქონდეთ ნაკლები დანახარჯები გრძელვადიან პერსპექტივაში მაშინ, როდესაც მოკლევადიანი დანახარჯები შეიძლება მაღალი იყოს. ჩვენ შემდეგ ჰიპოთეზას ვაყენებთ:

H3: ქართული ბანკების დანახარჯები პოზიტიურადაა დაკავშირებული უცხოური ბანკების წილებთან მოკლევადიან პერსპექტივაში.



ბანკის მოგების თანაფარდობა მისივე მთლიან აქტივებთან ასახავს ბანკის ზოგად მომგებიანობას. ვარაუდის მიხედვით უცხოური ბანკის ადგილობრივ ბაზარზე შემოსვლა გამოიწვევს კონკურენციაზე და საბანკო ბაზარზე პოზიტიურ ეფექტს და შესაბამისად, მას ექნება ნეგატიური გავლენა ამა თუ იმ ბანკის მომგებიანობაზე. რამოდენიმე ავტორის მიხედვით უცხოური საბანკო-საფინანსო შემოდინებები ამცირებს ადგილობრივი საბანკო სექტორის მომგებიანობის დონეს (იხ. Claessens *et al*, 2001; Hermes and Lenksink, 2003; Zajc 2002; Unite and Sullivan 2003). ჩვენ ვაყენებთ შემდეგ ჰიპოთეზას:

H4: უცხოური საბანკო კაპიტალის წილის ზრდა იწვევს ადგილობრივი საბანკო სექტორის მომგებიანობის კლებას.

როგორც კლისენი (Claessens *et al*, 2001) ამტკიცებს, უცხოური საბანკო შემოდინებების ზრდა ხელს უწყობს ადგილობრივ ბანკებს იმაში, რომ ეძიონ შედარებით დაბალი გადახდისუნარიანი კლიენტები, რითიც იზრდება ბანკების რისკი. მაგალითად, ადგილობრივმა ბანკებმა შეიძლება მოახდინონ უფრო ინტენსიური ფოკუსირება საცალო სესხებზე, რადგანაც უცხოური კონკურენტები იწყებენ თანამშრომლობას შედარებით სტაბილურ დიდ ბიზნესებთან. შესაბამისად, მოსალოდნელია ის, რომ უცხოური შემოდინებები გამოიწვევენ ადგილობრივი ბანკების რისკების გაზრდას, რადგანაც კონკურენცია ამცირებს მოგების ოდენობას, იწვევს მოგების მერყეობას და ხდება სარისკო სესხების გაცემის მიზეზი.

H5. უცხოური საბანკო-საფინანსო შემოდინებების წილის ზრდა იწვევს ბანკების რისკების (გაცემული სესხების დაკარგვის საფრთხე) ზრდას მოკლევადიან პერსპექტივაში.

ჰერმეს-ისა და ლენსინკ-ის (Hermes and Lensink, 2003) დაკვირვების მიხედვით ბაზრის ფინანსურ განვითარებას გააჩნია შესაბამისი როლი უცხოური საბანკო-საფინანსო შემოდინებების ეფექტების მხრივაც. შედარებით განვითარებული ბაზრების შემთხვევაში უცხოური საბანკო-ფინანსური შემოდინებების ეფექტი ნაკლებია, რადგანაც მოთხოვნილება უცხოურ საბანკო მომსახურებებზე არც ისე დიდია. ეს ასევე უკავშირდება ზოგად ვარაუდს იმის შესახებ, რომ უცხოური საბანკო სისტემა უფრო განვითარებულია, ვიდრე

ადგილობრივი თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ არის. დასაშვებია, რომ საბანკო-საფინანსო ბაზრის განვითარება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყოს დამატებითი დანახარჯებისა და არა-საპროცენტო აქტივობების მხრივ. შედარებით განვითარებულ ბაზრებზე უკვე განხორციელდა ინვესტირება საბანკო ტექნოლოგიების მხრივ და შესაბამისად, ზოგადი დანახარჯებიც გაიზარდა, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ ბაზრებზე, მაშინ როდესაც განვითარებულ ბაზრებზე აღნიშნული ეფექტი სუსტია. იგივე ითქმის ბანკების არა-საპროცენტო შემოსავლებზეც. განვითარებულ ბაზრებზე, სადაც კონკურენციის დონე მაღალია, ბანკები უკვე გადავიდნენ არა-საპროცენტო საქმიანობაზე, ამიტომ განვითარებულ ბაზრებზე უცხოური ბანკების შესვლით შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს არასაპროცენტო შემოსავლები, რადგანაც კონკურენციის ეფექტი უფრო ძლიერია, ვიდრე რეგულირების ეფექტი. მიტომ ჩვენ შევეცდებით ძირითადად განვიხილოთ ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა-განვითარების ჰიპოთეზა, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

**H6:** უცხოური ბანკების შესვლა დამოკიდებულია საქართველოში საბანკო ბაზრის განვითარების შედეგებზე.

ვილიამსმა (Williams 2003) გაანალიზა უცხოური და ადგილობრივი ბანკების მომგებიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები ავსტრალიაში და აღმოჩინა, რომ ბანკის მოგება მკვეთრად მცირდება ბაზარზე მისი კონკურენტების წილის ზრდის პარალელურად. ჩვენი მოსაზრების მიხედვით უცხოურ საბანკო-საფინანსო შემოდინებებზე ადგილობრივი ბანკების რეაგირების ფორმა შეიძლება ზოგადად დამოკიდებული იყოს მათი ბაზრის წილზე.

როგორც ჩანს, დიდი ბანკები უცხოურ საბანკო-საფინანსო შემოდინებებზე ნაკლებად რეაგირებენ, რადგანაც თავიანთი სიდიდიდან გამომდინარე რეაგირების ტემპები ნელია. სწრაფად განვითარებად საბაზრო პირობებში, უცხოური საბანკო-საფინანსო შემოდინებები ნაკლებად მნიშვნელოვანია მათთვის, ვიდრე შედარებით მცირე ბიუჯეტის ბანკებისთვის.

## კვლევის მიზანი და ამოცანები

მოცემულ კვლევას სავარაუდოდ დიდი მნიშვნელობა ექნება ზოგადად საბანკო სისტემისთვის, რამდენადაც კვლევა ძირითადად ეხება საბანკო სისტემის სტრუქტურულ და მარეგულირებელ ასპექტებს, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური სტაბილურობისა და ეფექტური ფინანსური ინფრასტრუქტურის შენარჩუნებას გარდამავალ პერიოდში. იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს საფინანსო და კაპიტალური ბაზრები ისევ ჩამოყალიბების სტადიაშია, სახეხეა ძირითადად საბანკო საქმიანობაზე დაფუძნებული ფინანსური სისტემა. ბანკების საქმიანობა საქართველოში ძირითადად გამოიხატება დიდი მოცულობის კაპიტალის შემოდინებასა და დაზოგვაში, რაც წარმოადგენს ბიზნესის დაფინანსების პირველად წყაროს. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საბანკო სისტემის ჩამოშლა გამოიწვევს შესაბამის ეფექტებს აგრეთვე ეკონომიკის სხვა დარგებშიც. საბანკო სექტორის გარდაქმნას თან სდევს გარკვეული სახის გამოწვევებიც და აღძრავს შემდეგი სახის კითხვებს ქართულ საბანკო სისტემასთან დაკავშირებით:

(1) იქედან გამომდინარე, რომ ქართველი ხელისუფლების წარმომადგენლები და გადაწყვეტილების მიმღები პირები საბანკო სისტემაში მნიშვნელოვანწილად უქვემდებარებენ ეკონომიკას დასავლურ ეკონომიკურ გავლენას, როგორი იქნება გარდამავალი პერიოდის მართვის მათი სტრატეგია ფინანსური ჩავარდნებისა და ახალი კონკურენტუნარიანი ბაზრების შექმნის მხრივ, რომელიც თავის მხრივ გამოწვეული იქნება ადგილობრივი და უცხოური ბანკების ჩართულობით საბანკო ბაზრებში. (2) როგორ უნდა დასახონ და დანერგონ ქართველმა საბანკო სექტორის მმართველებმა კონკურენციის პოლიტიკები და შექმნან შესაფერისი მარეგულირებელი და მაკონტროლებელი მექანიზმები. (3) უნდა შეუწყონ თუ არა ხელი ქართველმა საბანკო სექტორის მმართველებმა საბაზრო კონტროლის დაწესებას უცხოური კონკურენციის წახალისებით, ვიდრე დაამკვიდრონ თავდაცვითი სახის სტრატეგიები არსებული საბანკო სისტემის კონკურენციისაგან დასაცავად. (4) რამდენად წარმატებულნი არიან გარდამავალ ეკონომიკურ ფაზებში მყოფი სახელმწიფოები უფრო კონკურენტუნარიანი და ეფექტური საბანკო სექტორების ჩამოყალიბების მიზნით

მარეგულირებელი რეფორმების დანერგვასა და ინდუსტრიის რესტრუქტურისაციისას.

### მეცნიერული სიახლე

მოცემულ ნაშრომს გააჩნია სამმაგი მნიშვნელობა. უპირველეს ყოვლისა, ნაშრომი ამდიდრებს ქართულ საბანკო სისტემასთან დაკავშირებულ ლიტერატურას ქართული საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობისა და საბაზრო სისტემის შეფასება-გაზომვის მხრივ. გამოყენებული იქნება ცნობილი პანზერ-როზის (Panzar-Rosse H statistic) სტატისტიკური მეთოდი. შემდგომ, ჩვენ შევჩერდებით უცხოური ბანკების ადგილობრივ ბაზარზე შემოსვლა-კონკურენციის ხარისხზე ქართულ საბანკო ბაზარზე, რომელიც მოიცავს უცხოური ბანკების მონაწილეობის მნიშვნელოვან წილს. ჩვენ აგრეთვე ვაღვანთ იმ არსებს, რომელთა მეშვეობითაც უცხოური ბანკების შემოსვლა გავლენას ახდენს ადგილობრივ საბანკო კონკურენციის ხარისხზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული საბანკო ლიტერატურა ჯერ კიდევ საკმაოდ შერეულია და არ არსებობს ზოგადი შეთანხმება. ამასთანავე, სახეზეა უცხოურ საბანკო-საფინანსო შემოდინებებთან და კონკურენციასთან დაკავშირებული ნაშრომების სიმწირე. არაა შესწავლილი აგრეთვე ის, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს უცხოური ბანკის ადგილობრივ ბაზარზე შემოსვლა-კონკურენციის ხარისხის ურთიერთკავშირმა. მესამე, მოცემული ნაშრომი შეადგენს იმ ქართულ საბანკო ლიტერატურას, რომელიც მოიცავს ვარდების რეკოლუციის შემდგომ პერიოდს და რომელშიც მოცემულია უცხოური საბანკო-საფინანსო შემოდინებების ეფექტებთან დაკავშირებული ემპირიული მონაცემები. აღნიშნული მონაცემები გამყარებულია სხვა ქვეყნების საბანკო სისტემების მონაცემებთან და კვლევის შედეგებთან შედარებით.

სავარაუდოდ, ნაშრომს ექნება განსაკუთრებული მნიშვნელობა პოლიტიკის დანერგვის მხრივ შესაბამის სფეროში, რადგანაც იგი მოიცავს საბანკო სექტორის მნიშვნელოვან სტრუქტურულ და მარეგულირებელ ასპექტებს, რაც საშუალებას აძლევს გარდამავალ ეკონომიკური ფაზაში მყოფ ქვეყნებს შეინარჩუნონ ფინანსური სტაბილურობა და შექმნან ეფექტური ფინანსური ინფრასტრუქტურა.

## კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

ჩვენ მივმართავთ მონოპოლისტური კონკურენციის (PR H statistic) მოდელს საბანკო სისტემაში და ვიყენებთ მას სესხებისა და ანაბრების მეშვეობით მიღებული მარაგების სტრუქტურული ბალანსის შესასწავლად. აღნიშნული მოდელი საშუალებას იძლევა დადგინდეს ურთიერთკავშირები კონკურენციის ხარისხებს შორის საბანკო სექტორში, ისევე როგორც ბანკების მფლობელობა და წარმოშობა, მათი მარაგები. აღნიშნული მოდელის მეშვეობით შესაძლებელია აგრეთვე ბაზარზე ბანკების რიცხვთან დაკავშირებული კონკურენციის ინტენსივობის პირდაპირი გზით დადგენა. მოცემული კვლევა შედგება სამი ნაწილისგან. პირველ ნაწილში ჩვენ გამოვიყენეთ კონკურენციის გაზომვის მეთოდოლოგია, ხოლო მეორე ნაწილში გამოყენებულ იქნა საბანკო სექტორზე უცხოური ინვესტიციების გავლენის ხარისხის გამოთვლის მეთოდი.

პირველ ნაწილში გამოყენებულია ზემოთ ხსენებულ ბანკებს შორის კონკურენციის ხარისხის კვლევის მეთოდი (Panzar and Rosse, 1982, 1987). აღნიშნული მეთოდი განსაზღვრავს საბანკო ბაზრებზე არსებული კონკურენციის ხარისხსა და მის ხასიათს მსოფლიო მასშტაბით. PR სტატისტიკური მოდელი გამოითვლება შემცირებული საბანკო შემოსავლების რაოდენობის საფუძველზე და იზომება ბანკების დანახარჯებთან მიმართებაში მთლიანი მოგების ელასტიურობის შეჯამებით. PR H statistic მოდელის განმარტება ხდება შემდეგი სახით:  $H < 0$  ასახავს მონოპოლიას;  $H = 1$  უჩვენებს სრულ კონკურენციას;  $0 < H < 1$  კი აღნიშნავს მონოპოლისტურ კონკურენციას. ჩვენ აგრეთვე გამოვიყენეთ 5 ბანკის კონცენტრაციის მონაცემები სესხებზე, ანაბრებზე და აქტივებზე და მიუყვანდავთ მათ Herfindahl-Hirschman – ის ინდექსი (Herfindahl-Hirschman index - HHI) გამოგვეთვალა კონცენტრაციისა და სტრუქტურული ცვლილებების ხარისხი მოცემულ სექტორში.

კონკურენციის კვლევით ნაწილს გააჩნია ორი დამოუკიდებელი ცვლადი. პირველი დამოკიდებული ცვლადი (REV) წარმოადგენს თანაფარდობას მთლიან საპროცენტო შემოსავლებსა (ან მთლიანი შემოსავლის) და მთლიან აქტივებს შორის. მეორე დამოკიდებული ცვლადი წარმოადგენს თანაფარდობას საპროცენტო შემოსავლებსა და მთლიან აქტივებს შორის (INTREV). ორივე

მოდელის მიხედვით ბანკები იყენებენ სამი სახის სარესურსე ფაქტორს, კერძოდ, ანაბრებს, პერსონალს და ფიზიკურ კაპიტალს. PF, PL და PK ცვლადები აღნიშნავენ მოცემულ რესურსთა ღირებულებას: (PF) პერსონალის დანახარჯების კოეფიციენტი მთლიანი აქტივებისა და სხვა ვალდებულებების მიხედვით, (PL) პერსონალის დანახარჯების კოეფიციენტი მთლიანი აქტივების მიხედვით და (PK) არასაპროცენტო დანახარჯების თანაფარდობა ფიქსირებული აქტივების მიხედვით. ჩვენ ჩაერთეთ ბევრი კონტროლის ცვლადი ბანკების ზომების, რისკებისა და ანაბრების ნარევის განსხვავებათა გამოსათვლელად. ეს ფაქტორებია მთლიანი აქტივები (TA), ფინანსური კაპიტალი (EQTY), ნაღდი სესხები (LOAN) და ბანკთაშორისი დეპოზიტები (IBDP).

სამ - რესურსიანი ფაქტორის მოდელი ჯამურ პროცენტულ შემოსავლებთან ერთად (INTREV), როგორც დამოკიდებული ცვლადი იქნება მოსხენიებული როგორც მოდელი 1 ა და საერთო შემოსავლების მოდელი (TOTREV) მაშინ, როდესაც დამოკიდებული ვარიანტი მოსხენიებულ იქნება როგორც მოდელი 1 ბ.

ჩვენ გამოვითვლით შემოსავლების შემდეგ შემცირებულ ფორმას, რომლებიც აიხსნება ფაქტორთა ღირებულებებისა და სხვა სპეციფიკური საბანკო ცვლადების მიხედვით, რომლებმაც გავლენა იქონიეს 1999-2010 წლებში გრძელვადიანი საბანკო შემოსავლების ბალანსებზე საქართველოში.

$$\ln(\text{REV}_{it}) = h_1 \ln(\text{PF}_{it}) + h_2 \ln(\text{PL}_{it}) + h_3 \ln(\text{PK}_{it}) + \beta_1 \ln(\text{TA}_{it}) + \beta_2 \ln(\text{EQTY}_{it}) + \beta_3 \ln(\text{LOAN}_{it}) + \beta_4 \ln(\text{IBDP}_{it}) + \epsilon_{it}$$

ფორმულაში  $t=1, \dots, T$  აღნიშნავს შესწავლილ პერიოდებს, ფორმულაში  $i=1, \dots, I$ ,  $I$  უდრის ბანკების მთლიან ოდენობას და  $1$  კი აღნიშნავს ბუნებრივ ლოგარიტმს. (REV) დამოკიდებული ცვლადი წარმოადგენს მთლიანი საპროცენტო შემოსავლის თანაფარდობას (ან ჯამური შემოსავალი) მთლიანი აქტივების მიხედვით.

PR ფორმულის ფარგლებში H statistic მოდელი უდრის საპროცენტო შემოსავლების ელასტიურობის ჯამს სამი რესურს-ფაქტორის ღირებულებასთან მიმართებაში: შესაბამისად, მონოპოლისტური კონკურენციის ჰიპოთეზა მოცემულია შემდეგ ფორმულაში:

$$H = h1 + h2 + h3$$

$$0 < H = h1 + h2 + h3 < 1$$

სადაც  $H \leq$  აღნიშნავს მონოპოლიას და  $H=1$  კი არის სრული კონკურენცია.

მეორე ნაწილში გამოყენებული კვლევითი მეთოდი ნაწილობრივ გამოყენებულია საბანკო სექტორში უცხოური ინვესტიციების ეფექტის ხარისხის დასადგენად. ჩვენ ვსწავლობთ იმას, თუ როგორ გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური საბანკო-საფინანსო ინვესტიცია ადგილობრივი ბანკების სტრუქტურასა და ფუნქციონირებაზე. აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩვენ ვიყენებთ საბანკო და მაკრო დონის მონაცემებს რათა დავადგინოთ ურთიერთკავშირი 1999-2009 წლებში უცხოურ შემოდინებებსა და ადგილობრივი ბანკების ეფექტურობას შორის. ყოველწლიური მონაცემები გამოიყენება შემდეგ ქვე-ჯგუფებში: საბანკო დონის სახარჯთაღრიცხვო მონაცემები, უცხოური საბანკო შემოდინებებთან მონაცემები, ქვეყნის სპეციფიკური ცვლადები და საბანკო ბაზრის განვითარების მონაცემები. პირველ რიგში, ჩვენ ვიყენებთ ორი სახის ცვლადს ბანკების შემოსავლების გასაზომად: ნაღდი საპროცენტო მარაგი (NIM) და არასაპროცენტო შემოსავლები მთლიან აქტივებთან მიმართებაში (OOITA). მეორე, ბანკის მომგებიანობა ხასიათდება წინა-საგადასახადო მოგებების თანაფარდობით მთლიან აქტივებთან მიმართებაში (PTPTA). მესამე, ბანკის დანახარჯები იზომება ორი ცვლადის მეშვეობით: ზოგადი დანახარჯები მთლიან აქტივებთან მიმართებაში (OHTA) და სესხების სადანაკარგო რეზერვები მთლიან აქტივებთან მიმართებაში (LLPTA). აღნიშნული ცვლადები გამოითვლება ბანკების საშემოსავლო ანგარიშებისა და ბალანსების საფუძველზე.

მოგება/ჯამური აქტივების დადგენამდე ჩვენი მომგებიანობის საზომი აღებულია ბანკის საშემოსავლო ანგარიშებიდან და შეესაბამება შემდეგ განტოლებას:

*წინა-საგადასახადო მოგება/ჯამური აქტივები = (ნაღდი მარაგი+არასაპროცენტო მოგება-ზოგადი დანახარჯები- სესხების სადანაკარგო რეზერვები)/მთლიანი აქტივები:*

$$PTPTA = NIM + OOITA - OHTA - LLPTA$$

არასაპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ბანკების არა-საკრედიტო საქმიანობებს; მოსალოდნელი დანაკარგების რეზერვები განსაზღვრავს მაღალი რისკის სესხებისათვის საჭირო რეზერვების რაოდენობას. საბოლოო ეფექტურობის შედეგი - ზოგადი დანახარჯები, შედგენილია ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ზემოთ.

სპეციფიკურ საბანკო ეგზოგენურ ცვლადებს წარმოადგენენ: მოკლევადიანი და გრძელვადიანი დეპოზიტები, აგრეთვე სხვა სუბსიდიები მთლიან აქტივებთან მიმართებაში (CSTFTA), კაპიტალის კოეფიციენტი მთლიან აქტივებთან მიმართებაში (ETA), არა-მომგებიანი აქტივები მთლიან აქტივებთან მიმართებაში (NEATA).

ჩვენ ვიყენებთ ორ განსხვავებულ უცხოური შემოდინებების ცვლადებს: უცხოური ბანკების წილი მთლიან საბანკო-საბაზრო აქტივებში (FSA) და უცხოური ბანკების რაოდენობა შეფარდებული ბანკების მთლიან რაოდენობასთან (FBSN). უცხოური ბანკების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებთან მიმართებაში (FSA) მოცემული იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, მაშინ, როდესაც უცხოური ბანკების ხვედრითი წილი ბანკების მთლიანი რაოდენობის მიმართ (FBSN) მოცემულ იქნა EBRD გარდამავალი სისტემების ანგარიშის (2003) მიხედვით.

საბანკო სისტემის განვითარება ხასიათდება ადგილობრივი კერძო კრედიტების მოცულობის შეფარდებით მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში (DCGDP). ეს არის ფართოდ გამოყენებადი საზომი საბანკო სექტორის განვითარებისა, რომელიც აგრეთვე გამოიყენება ჰერმეს და ლენსიკ-ის (Hermes and Lensink 2003) მიერ. DCGDP-ის მონაცემები მოცემულია EBRD გარდამავალი სისტემების ანგარიშის მიხედვით.

ჩვენ ვიყენებთ კონტროლის ცვლადებს, რომლებიც მოიცავენ იმ მაკროეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც თავის მხრივ ასახავენ ეკონომიკის იმ მდგომარეობას, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ბანკების საქმიანობაზე. კლაისენს-ის (Claessens *et al*, 2001) მსგავსად ჰერმეს და ლენსიკი (Hermes and Lensink 2003) და ზაიცი-ს (Zajc, 2002) მიხედვითაც მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლადები



და მისი ზრდის კოეფიციენტი (GDPG) ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, რომლებიც წარმოადგენენ ეკონომიკის ზოგადი მდგომარეობის მაჩვენებლებს, ახდენენ გავლენას ბანკების საქმიანობაზე ზოგადად.

ინფლაციის ხარისხი, რომლის მიხედვითაც იზომება ინფლაციასა და ბანკების მოგებას შორის ურთიერთდამოკიდებულება, არის ნაღდი საპროცენტო განაკვეთი. მაღალმა ინფლაციამ და განვითარებადმა ეკონომიკამ გაზარდეს კომერციული ბანკების მოგება. ჩვენ მოვიპოვეთ ცნობები ყველა სახის ცვლადების შესახებ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის, EBRD გარდამავალი სისტემების ანგარიშის და მსოფლიო განვითარების მაჩვენებლების მეშვეობით.

ემპირიული მეთოდის საშუალებით ჩვენ გამოვთვალეთ უცხოურ შემოდინებებსა და ბანკების ეფექტურობას შორის ურთიერთდამოკიდებულება. გამოყენებულია ის ემპირიული მოდელი, რომელიც გამოყენებულ იქნა კლისენსის (Claessens *et al*, 2001) მიერ (2001):

$$\Delta I_{it} = \alpha_0 + \beta_j \Delta FS_t + \delta_{ij} \Delta B_{it} + \gamma_j \Delta X_t + \varepsilon_{jt}$$

მესამე ეტაპზე ჩვენ შევადგინეთ ისეთი ემპირიული მოდელი, რომელიც შესაფერისია უცხოური ბანკების შემოდინებების ეფექტის შესწავლისთვის საქართველოს საბანკო ბაზარზე. ამ მიზნით, ჩვენ ერთმანეთს ვუფარდებთ უცხოური ბანკების ზეგავლენასა და ადგილობრივი ბანკების კონკურენციის ხარისხებს.

ჩვენ გამოვიყენეთ პანზარ-როსის (Panzar- Rosse H statistic) სტატისტიკური მეთოდი და კონცენტრაციის კოეფიციენტები, რომლებიც გამოითვლება პირველ ეტაპზე როგორც დამოკიდებული ცვლადი საბანკო კონკურენციისა და კონცენტრაციის დონის განსაზღვრის მიზნით. როგორც დამოუკიდებელი ცვლადი, უცხოური აქტივები და უცხოური ბანკების რაოდენობა გამოიყენება უცხოური შემოდინებების ეფექტების მეშვეობით საქართველოს საბანკო სექტორში კონკურენციის ხარისხის განსაზღვრის დასადგენად. დროითი მონაკვეთების განსაზღვრა და უცხოური საბანკო-ფინანსური შემოდინებების

სახეობა ქართულ საბანკო სივრცეში წარმოადგენს მოცემული კვლევის მნიშვნელოვან ელემენტს. შესაბამისად, ჩვენ გამოვიყენეთ De novo and M&A-ს (შერწყმა და ზრდა) მეთოდი, რათა გამოგვეთვალა უცხოური შემოდინებების ეფექტი ადგილობრივ საბანკო ბაზარზე. ჩვენ გამოვიყენეთ ორდინალური მცირე კვადრატული რეგრესიის მოდელი (OLS) მთლიან ნიმუშში მოცემული ორივე ნაწილისათვის, რაც ასახავს ბანკებს და დროით მონაკვეთებს, რომელიც გულისხმობს იმას, რომ სტანდარტული ცდომილებები დამოუკიდებლად ნაწილდება ბანკებზე სხვადასხვა დროით მონაკვეთებში. აღნიშნული მონაცემების არსებობის ერთერთი უპირატესობა არის ის, რომ იგი იძლევა ჰეტეროგენული ტენდენციების გაკონტროლების საშუალებას ან გამოტოვებული ცვლადების შერეული ეფექტების განსაზღვრას, რაც ინარჩუნებს დროში სტაბილურობას.

### **კვლევითი მეთოდის საფუძვლიანობა და სანდოობა**

რეგრესიის ანალიზი განსაზღვრავს დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირს. ურთიერთკავშირი იზომება კონფიდენციის 95 %-ზე ისევე როგორც 90 %-ზე. ასე რომ, კონფიდენციის ხარისხი (ალფა) აგრეთვე უდრის 0.05 და 0.10-ს. ამგვარად, კოეფიციენტის მნიშვნელობა ( $p$  ღირებულება) არის 0.05 და 0.10-ზე ნაკლები თუკი მოცემული კოეფიციენტი ითვლება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად.

გამოთვლის შედეგი მოცემულ კვლევაში უშვებს იმ ურთიერთკავშირს რომელსაც გააჩნია  $p < 0.05$  95 პროცენტთან კონფიდენციის დონეზე. ეს ნიშნავს, რომ არსებობს 5 პროცენტზე ნაკლები ან მეტი შანსი იმისა, რომ ნულოვანი ჰიპოთეზა მიღებულია შეცდომით, როდესაც ჰიპოთეზა არ არის სწორი ან იგი ფაქტობრივად სწორია. კვლევის ფარგლებში აგრეთვე ყურადღება ეთმობა კოეფიციენტის სიდიდესა და ნიშანთვისებას.

სამ - რესურსიანი ფაქტორის ჯამური კოეფიციენტი კონკურენციის მოდელში მიღებულია შემდეგი სახით: თუკი ფაქტორების ჯამი 1-ზე მეტი ან ნაკლებია, მაშინ სახეზეა სრული კონკურენცია. თუკი ფაქტორების ჯამი 0-სა და

1-ს შორისაა, მაშინ სახეზეა მონოპოლისტური კონკურენცია. თუკი ფაქტორთა საერთო ჯამი 0-ზე ნაკლებია, მაშინ სექტორში სახეზეა მონოპოლია.

### **ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა**

მოცემულ შრომას ექნება პრაქტიკული მნიშვნელობა - განხორციელების პოლიტიკის განსაზღვრის მხრივ, რამდენადაც იგი მოიცავს საბანკო სფეროს სტრუქტურულ და რეგულირებად რეფორმებს, რაც საშუალებას იძლევა იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ფინანსური სტაბილურობა გარდამავალ პერიოდში და შეიქმნას ეფექტური ფინანსური ინფრასტრუქტურა. იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში ფინანსური და საკაპიტალო ბაზრები საბოლოოდ ჩამოყალიბებული არაა, სახეზეა ძირითადად საბანკო საქმიანობაზე დამყარებული ფინანსური სისტემა. ბანკები ახორციელებენ დიდი მოცულობის კაპიტალის მიმოქცევას და კერძო მარაგების შენახვას, ისინი აგრეთვე წარმოადგენენ ბიზნეს ფინანსირების ძირითად წყაროს.

ეს ნიშნავს იმას, რომ საბანკო სისტემის პოტენციურმა ჩამოშლამ შეიძლება იქონიოს გადამდები ეფექტი ეკონომიკის ყველა სხვა სფეროზეც. ჩვენის აზრით, მოცემული ნაშრომი დაეხმარება ბანკების მმართველებს უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებაში იმ მიზნით, რომ შეიტანონ ან განავრცონ თავიანთი საბანკო პროდუქცია საქართველოს საბანკო ბაზარზე. კვლევა აგრეთვე გამოსადეგი იქნება ახალი საბანკო შემოდინებების განსახორციელებლადაც.

რაც შეეხება კვლევის თეორიულ ასპექტს, კონკურენციისა და უცხოური ბანკების ეფექტების შესწავლა წარმოადგენს ქართული საბანკო სექტორისთვის სიახლეს, შესაბამისად მოცემული ნაშრომი არის პირველი ამ კონტექსტში. იგი თავის მხრივ იქნება საფუძველი ახალი ნაშრომებისთვის, რომლებიც მოიცავს კონკურენციისა და უცხოური საბანკო შემოდინებების საკითხს.

### **პუბლიკაციები.**

ნაშრომის ძირითადი შედეგები, სიახლეები და რეკომენდაციები ავტორის მიერ გამოქვეყნებულია 4 ადგილობრივ და ასევე საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალში.

## ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 198 გვერდს. იგი შეიცავს 5 თავს, დასკვნით და შესავალ ნაწილებს, 45 ქვეთავს, წყაროებს, რეკომენდაციებსა და დასკვნებს. ნაშრომში მოცემულია 45 ცხრილი, 12 სქემა და 3 დანართი. ნაშრომს თან ერთვის 173 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

## 2. ნაშრომის შინაარსი

შესავალ ნაწილში მოცემულია ნაშრომის მოკლე მიმოხილვა. აღნიშნული ნაწილი შედგება პრობლემის განსაზღვრის, კვლევის საგნის, კვლევითი ჰიპოთეზების და კვლევითი მეთოდოლოგიისგან. შესავალში განხილულია ძირითადი მოსაზრებები, თეზისის კითხვები, ჰიპოთეზური მიგნებები და პრაქტიკული განხორციელება.

ნაშრომის პირველი თავი მიმოხილავს საბჭოთა და თანამედროვე პერიოდების საბანკო რეფორმებს საქართველოში. იგი ხსნის ეკონომიკისა და ბანკების ფუნქციებს საბჭოთა ეკონომიკაში. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია დამოუკიდებელ საქართველოში შემდგომი საბანკო სექტორის განვითარების პროცესის გაგების მხრივ, რადგანაც ეკონომიკისა და საბანკო ინსტიტუციების რესტრუქტურისაცია დაიწყო დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან.

საბჭოთა საბანკო სისტემა წარმოადგენდა მონობანკურ სისტემას, როდესაც ყველა ბანკი მიეკუთვნებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ბანკები ფუნქციონირებდნენ როგორც სახელისუფლებო ინსტიტუტები და ემსახურებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების მიზნებს. ყველა საბანკო გადაწყვეტილება მიიღებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ. ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ არ იყვნენ ბანკები ეფექტურნი აღნიშნული პერიოდის განმავლობაში. ჩვენ ასევე ვაანალიზებთ საქართველოს ეკონომიკისა და საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პერიოდს და ვადარებთ მათ სხვა გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების მონაცემებს.

**ნაშრომის მეორე თავის** პირველ ნაწილში წარმოდგენილია საბანკო კონკურენციის საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა და წინა კვლევები თუ მეთოდები, რაც გამოყენებულ იქნა საბანკო სექტორში კონკურენციის ხარისხის გასაზომად. მეორე თავის მეორე ნაწილში კი მოცემულია იმ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელშიც განხილულია უცხოური ბანკების ეფექტები ადგილობრივ საბანკო სისტემაზე.

**ნაშრომის მესამე თავი** იძლევა ქართული კომერციული ბანკების ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებს. ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ ქართული ბანკების მონაცემებს 1999-2010 დროის მონაკვეთში.

**ნაშრომის მეოთხე თავში** განხილულია ის მეთოდოლოგია და ჰიპოთეზები, რაც გამოყენებულ იქნა ჩვენს მიერ კვლევის ფარგლებში. ჩვენ ვიყენებთ სამ საფეხურიან მიდგომას უცხოური ბანკების ეფექტების შესწავლის მიზნით. პირველ საფეხურზე ჩვენ ვითვლით კონკურენციის ხარისხს საბანკო სექტორში. მეორე საფეხურზე დგინდება უცხოური ბანკების ეკონომიკური ეფექტები ადგილობრივ საბანკო სისტემაზე. მესამე საფეხურზე ჩვენ ერთმანეთს ვუფარდებთ უცხოურ საბანკო შემოდინებებსა და საბანკო კონკურენციის კოეფიციენტებს.

**ნაშრომის მესამე თავი მოიცავს** საბანკო კონკურენციაში რეგრესიის ემპირიულ ანალიზს. შედეგებმა უჩვენა, რომ განხილული პერიოდის მანძილზე საქართველოს საბანკო სისტემაში სახეზე იყო მონოპოლისტური კონკურენცია. მოცემულ ნაწილში აგრეთვე განიხილება უცხოური ინვესტიციების ეფექტი შემოსავალზე (საპროცენტო შემოსავალი, ნაღდი წინა-საგადასახადო შემოსავალი, ზოგადი დანახარჯები და არასაპროცენტო შემოსავალი). შედეგები აჩვენებს, რომ უცხოურ საბანკო შემოდინებებს გააჩნიათ უარყოფითი გავლენა ქართული ბანკების მომგებიანობაზე და მათ ზოგად დანაჯარჯებზე. კვლევის ამ ნაწილში მოცემულია ყველა შესაბამისი ემპირიული მიგნებები. უცხოური საბანკო შემოდინება-კონკურენციის რგოლის შედეგები აჩვენებს, რომ უცხოური ბანკები ახდენენ პოზიტიურ გავლენას კონკურენციაზე რეგრესიის ყველა სახეებში. მოცემულ ნაწილში აგრეთვე განიხილება უცხოური საბანკო შემოდინებების მნიშვნელობა ადგილობრივი საბანკო ბაზრისთვის. შედეგები

აჩვენებს, რომ შერწყმასა და ზრდას გააჩნია მზარდი ეფექტი კონკურენციის ხარისხზე ქართულ საბანკო სისტემაში.

**კვლევის ბოლო ნაწილში** მოცემულია დასკვა და განხორციელების პოლიტიკა. მოცემულ თავს ერთვის მოყვანილი დამოწმებების სია. დანართი A იძლევა ბანკების აქციონერთა სიას 1999-2007 დროის მონაკვეთში და იქვე მოცემულია უცხოური საბანკო შემოდინებების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში, სესხებსა და ანაბრებში. დანართი B იძლევა ცვლადებსა და სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც გამოყენებულია კვლევაში. დანართი C მოიცავს ანალიზების იმ შედეგებს რაც გამოყენებულ იქნა ნაშრომში.

**დასკვნითი ნაწილი და რეკომენდაციები:** მოცემული დროითი მონაკვეთი წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვან პერიოდს ისეთ გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნისთვის როგორც საქართველო რადგანაც აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა ცენტრალური გეგმიური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ მოდელზე გადასვლა, მოხდა აგრეთვე ფინანსური სისტემის ჩამოყალიბება მისი ლიბერალიზაციის მეშვეობით რაც გათვლილია საქართველოს ეკონომიკის დაახლოებისთვის დასავლურ ეკონომიკურ სტანდარტებთან.

პანზარ-როსის (Panzar and Rosse) სტატისტიკური მეთოდი აჩვენებს, რომ ქართული ბანკები ოპერირებენ მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში. 2006 წლიდან მოყოლებული კონკურენციის ხარისხში სახეზეა კლება. ჩატარებული კვლევა საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ბანკები ნახულობენ მოგებას მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში.

1998-2007 დროითი მონაკვეთის ემპირიული მონაცემების კვლევის შედეგებმა აჩვენა:

უპირველეს ყოვლისა – საქართველოში სახეზეა მონოპოლისტური კონკურენცია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში მოხდა ბანკების რიცხვის შემცირება და გაიზარდა კონცენტრაციის ხარისხი, არ არსებობს იმის მაჩვენებლები, რომ სახეზეა კონკურენციის ნაკლები ხარისხი მოცემულ

პერიოდში. თუმცადა, როგორც დგინდება, 1999-2003 დროითი მონაკვეთიდან 2005-2009 წლებამდე საბანკო ბაზარი არ იყო დაბალანსებული.

ცხრილი 1: კონკურენციის ჰიპოთეზის საფუძვლიანობა 1999-2010 დროითი მონაკვეთისთვის

| ჰიპოთეზები     | ჰიპოთეზების რაოდენობა | საფუძვლიანობა       |
|----------------|-----------------------|---------------------|
| H <sub>1</sub> | 1                     | მიღებული            |
| H <sub>2</sub> | 2                     | ნაწილობრივ მიღებული |
| H <sub>3</sub> | 3                     | მიღებული            |
| H <sub>4</sub> | 4                     | მიღებული            |

სხვა სტრუქტურულ თეორიებთან ერთად Herfindahl –Hirschman-ის ინდექსი გამოყენებულ იქნა კონცენტრაციისა და კონკურენციის ხარისხში ცვლილებების გასაანალიზებლად მოცემულ ინდუსტრიაში. აღნიშნული ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ სახეზეა უმნიშვნელო კლება კონკურენციის ხარისხში “ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში. თუმცადა, ინდუსტრია გახდა უფრო კონცენტრირებული “ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში, რის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოხდა კონკურენციის ხარისხის შემცირება ბანკებს შორის.

კონკურენციის ანალიზის შედეგების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კონკურენციის ხარისხი საბანკო ბაზარზე უმნიშვნელოდ შემცირდა ლიბერალიზაციის პერიოდის შემდეგ. მეტიც, მოცემული პერიოდის ფარგლებში მონოპოლისტური თეორიის ხარჯზე მოხდა სხვა ისეთი ჰიპოთეზების უარყოფა როგორცაა მონოპოლია/სრული შეთანხმება და სრული კონკურენცია/კონკურენტული ბაზარი. კონკურენციის თანმიმდევრული კლება მოცემულ პერიოდში იწვევს ეჭვებს მომხმარებლის სარგებლიანობასთან დაკავშირებით, რისი მიზეზიც გახდა მზარდი კონკურენცია ბანკებს შორის.

ნათელია, რომ 2003 შემდგომ პერიოდში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები კომერციული საბანკო სექტორის კონცენტრაციის ხარისხში. მიუხედავად იმისა, რომ კონცენტრაციასა და საბაზრო ძალას შორის ურთიერთკავშირი რჩება ბუნდოვანი HHI მეთოდის გამოყენებისას, იგი მაინც იძლევა საშუალებას ვიქონიოთ საკამოდ ნათელი წარმოდგენა კონცენტრაციის ხარისხზე მოცემულ ინდუსტრიაში.

ცხრილი 1 განსაზღვრავს ზოგად ჰიპოთეზას. მოცემული კვლევის შედეგები შეესაბამება წინა კვლევას, რომელიც უკავშირდება საბანკო კონკურენციას, რომელშიც ზოგადად განიხილება მონოპოლისტური კონკურენციის ცვლადი ხარისხები. შედეგები არ გულისხმობს იმას, რომ კონცენტრაციის მაღალი ხარისხი ქართულ საბანკო ბაზარზე გამოიწვევს ისეთ მონოპოლისტურ დონეს, რაც განხილულია SCP ჰიპოთეზაში. აღნიშნული შედეგები შეიძლება შედარებულ იქნას კონკურენტუნარიანი ბაზრის თეორიასთან, თუკი ვივარაუდებთ, რომ ფირმები შესაძლებელი კონკურენციიდან გამომდინარე დაადგენენ თავიანთ ფასებს კონკურენციის დონესთან შესაბამისობაში. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში ხდებოდა გადასვლა საბაზრო ეკონომიკურ მოდელზე, როდესაც ჯერ კიდევ ყალიბდებოდა ევექტური ფინანსური სისტემა.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ კვლევების რიცხვი, რომლებშიც განხილულია გარდამავალი ეკონომიკების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ასპექტები. ჩვენი აზრით, საქართველო გააგრძელებს ამ კუთხით ყურადღების ცენტრში ყოფნას. მომავალი კვლევების ფარგლებში შეიძლება განხილულ იქნას შემდეგი საკითხები: რომელიც საბანკო სფეროები განიცდიან გავლენას რეგიონში? რა სახის ორგანიზაციული ცვლილებები განიცადეს ბანკებმა ცვლადი კონკურენტული გარემოსადმი ადაპტირების მხრივ? იქნა თუ არა მიღწეული მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გაზრდილი კონკურენციიდან? თუკი ასეთი სახის გაუმჯობესება მიღწეულ იქნა, მაშინ როგორ იმოქმედა ამან მომხმარებელზე და მომსახურების ხარისხზე ზოგადად?



უცხოური ბანკების გავლენის ხარისხი ადგილობრივ ბანკებზე შემდეგნაირად გადმოიცემა:

მოცემულ ნაწილში განიხილება ლიბერალიზაციის პოლიტიკის შედეგები უცხოური ბანკების ადგილობრივ საბანკო სისტემაზე გავლენის მხრივ 1999-2010 დროით მონაკვეთში. არსებობს მყარი ემპირიული მონაცემები იმის შესახებ, რომ უცხოური საბანკო-ფინანსურ შემოდინებებს გააჩნიათ უარყოფითი გავლენა ადგილობრივ საბანკო ბაზარზე, რადგანაც მზარდი კონკურენციის ხარისხი იწვევს ადგილობრივი ბანკების მომგებიანობის ხარისხის კლებას. ამასთანავე, უცხოური საბანკო შემოდინებები ხდებიან მიზეზი იმისა, რომ ადგილობრივმა ბანკებმა მოახდინონ ტექნოლოგიური ტრანზფერის კიდევ უფრო ინტენსიური განხორციელება და გაზარდონ მომსახურების ხარისხი ზოგადად.

ყოველივე ამის შედეგად ადგილობრივი ბანკები იძულებულნი არიან მეტი ყურადღება მიაქციონ თავიანთ სადანახარჯო ეფექტურობას.

ჩვენი ემპირიული შედეგები შეესაბამება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ წინა კვლევებს, რაც გულისხმობს იმას, რომ უცხოური შემოდინებები იწვევს ადგილობრივი ბანკების ნაკლებ მომგებიანობას და გაზრდილ ზოგად დანახარჯებს.

აგრეთვე, დგინდება რომ ინტენსიური უცხოური შემოდინებების პირობებში საპროცენტო შემოსავლები და ოპერატიული დანახარჯები იკლებს, რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ უცხოური კონკურენცია ამცირებს საპროცენტო შემოსავლებს და ადგილობრივი ბანკები იძულებულნი არიან გახდნენ უფრო ეფექტურნი.

ჩვენი დასკვნის მიხედვით საბანკო სექტორის ლიბერალიზაცია გათვლილია იმაზე, რომ ადგილობრივი ბანკები გახდნენ უფრო ეფექტურები მზარდი კონკურენციის პირობებში, რაც დასტურდება მსხვილი ქართული ბანკების მაგალითზე.

ჩვენ აგრეთვე ვასკენით, რომ უცხოური საბანკო შემოდინებები პირდაპირ კავშირშია რისკის დონის ზრდასთან. უცხოურ შემოდინებებთან ასოცირდება დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზრდაც,

რასაც ითვალისწინებს კლისენს-ის (Claessens et al, 2001) ჰიპოთეზა. ჰიპოთეზის მიხედვით უცხოური შემოდინებების ზრდის ფონზე ადგილობრივი ბანკები იძულებულნი არიან ითანამშრომლონ შედარებით რისკიან კლიენტებთან, რადგანაც მაღალია უცხოურ ბანკებთან კონკურენციის ხარისხი. უცხოური ბანკების ხვედრითი წილის ზრდა საბანკო ბაზარზე იწვევს ოპერატიული დანახარჯების ზრდასა და არასაპროცენტო შემოსავლების კლებას.

აღნიშნული შედეგები ნაჩვენებია 2-ე ცხრილში. შედეგები მეტწილად შეესაბამება წინა კვლევების შედეგებს გარკვეული განსხვავებებით. შეიძლება მოვახდინოთ განზოგადება იმისა, რომ უცხოური შემოდინებები ნეგატიურად უკავშირდება საშემოსავლო ცვლადებს (ALINT, PTPTA and OOITA). აგრეთვე, ზოგადი დანახარჯები უარყოფითად უკავშირდება FBSN და FSA ცვლადებს.

ცხრილი 2. უცხოური საბანკო შემოდინებების გავლენა ადგილობრივი ბანკების ეფექტურობაზე

| პერფორმანსის მაჩვენებლები და ფაქტორები | ჰიპოთეზების რაოდენობა | საფუძვლიანობა     |
|--|-----------------------|-------------------|
| NIM                                    | 1                     | მიღებული          |
| OOITA                                  | 2                     | უარყოფილი         |
| OHTA                                   | 3                     | უარყოფილი         |
| PTPTA                                  | 4                     | მიღებული          |
| LLPTA                                  | 5                     | არ არის დადგენილი |
| DCGDP                                  | 6                     | მიღებული          |

მოცემული სექცია ემპირიულად აანალიზებს უცხოური ბანკების ეფექტებს ადგილობრივი ბანკების ეფექტურობაზე და მათ როლზე, რასაც ისინი თამაშობენ ფინანსური სფეროს განვითარებაში. ჩვენი აზრით, ანალიზის

შედგები აძლიერებს იმ მოსაზრებას, რომ უცხოური შემოდინებების გავლენის ხარისხი დამოკიდებულია ფინანსური განვითარების ხარისხზე.

შედგებმა უჩვენა, რომ უცხოური საბანკო შემოდინებები ასოცირდება დაბალ წინა-საგადასახადო შემოსავლებთან, არასაპროცენტო შემოსავლებთან, საშუალო საკრედიტო განაკვეთებთან და მოსალოდნელ სადანაკარგო რეზერვებთან. აგრეთვე, ანალიზის შედეგად დგინდება, რომ უცხოური საბანკო შემოდინებები ამცირებენ ბანკის ზოგად დანახარჯებს მოკლევადიან პერსპექტივაში. ანალიზის შედეგები ზოგადად გულისხმობს, რომ უცხოური საბანკო შემოდინებები ზრდის კონკურენციის დონეს ბაზარზე.

აღნიშნული შედეგები შეესაბამება ჰიპოთეზებს 1, 4, 6 და ნაწილობრივ 5-ს, მაშინ, როდესაც უარყოფს ჰიპოთეზებს 2 და 3. ჩვენი შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება წინა კვლევებს გარკვეული გამონაკლისების გარდა, რომლებიც გულისხმობენ იმას, რომ გარდამავალ ეტაპზე მყოფი ეკონომიკა გარკვეულწილად წარმოადგენს განსაკუთრებულ შემთხვევებს უცხოური საბანკო შემოდინებების ეფექტების მხრივ. ნაშრომის ზოგად დასკვნას წარმოადგენს ის, რომ უცხოური საბანკო შემოდინებები გაზრდიან კონკურენციის დონეს ქართულ საბანკო სექტორში.

საქართველოში კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ 1996 წელს მიღებული კანონის შესაბამისად მოხდა მინიმალური სტანდარტების დადგენა საბანკო რეგულირების მხრივ. ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში, 2004 წელს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ჩატარებულ იქნა რეფორმები საბანკო სექტორის ლიბერალიზაციის კუთხით, რაც გათვლილი იყო პრივატიზაციისა და ბიზნესის ხელშეწყობაზე. მიღებულ იქნა ახალი საგადასახადო პოლიტიკა, რამაც გამოიღო მნიშვნელოვანი შედეგები. ყოველივე ამან დადებითი როლი ითამაშა ეკონომიკისა და ფინანსური სისტემის განვითარებისთვის ზოგადად.

### **შედგების განხილვა პოლიტიკის დანერგვის მხრივ**

ქართველმა საბანკო სექტორის ექსპერტებმა მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარეს საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული საბანკო-საფინანსო სისტემის

ჩამოყალიბების მხრივ მეტად მოკლე პერიოდში. მათ მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებას სტრუქტურული რეფორმების ისეთ სფეროებში, როგორცაა პრივატიზაციის პროცესის ეფექტური დაგეგმვა და განხორციელება, კონკურენციასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რეგულირებადი სტრუქტურა.

მოცემული ნაშრომი გულისხმობს, რომ ქართულმა ბანკებმა გაზარდეს თავიანთი კონკურენტუნარიანობის დონე “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, როდესაც ჩატარდა ინტენსიური სამუშაო პრივატიზაციის და უცხოური საბანკო შემოდინებების განხორციელების მიზნით. აღნიშნული პროცესი გრძელდება, რაც გამოიხატება კონკურენციის, მომსახურებისა და პროდუქციის, არასაპროცენტო შემოსავლებისა და ტექნოლოგიური ინოვაციის ხარისხის გაზრდით.

უცხოურმა ბანკებმა დადებითი როლი ითამაშეს ეფექტური ადგილობრივი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებაში და სწორედ ამიტომ, უცხოური შემოდინებების რეგულირებას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა. უცხოურ შემოდინებებს დიდი მიშვნელობა გააჩნიათ აგრეთვე ადგილობრივი საბანკო სისტემის მოდერნიზაციისთვის, რაც გამოიხატება საბანკო პროდუქტებისა თუ მომსახურებების ინოვაციაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული საბანკო სექტორის მმართველებმა უნდა განაგრძონ ღია ბაზრის პოლიტიკა, რათა ქართულმა საბანკო სისტემამ კიდევ უფრო გაზარდოს საკუთარი კონკურენტუნარიანობისა და ეფექტურობის ხარისხი.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომთა სია:

1. Mercan, M. 'Banking Reform in Georgia' 54-66 Vol 1 No 1, 56-68, 2006, IBSU scientific journal
2. Mercan, M. 'Transformation of Banking System from Soviet System to Free Market system' 166-173, No 9, 2009, journal of Intercultural Communication
3. Mercan, M. 'What brings foreign bank? In emerging countries' in November edition, 2010, journal of Intercultural Communication
4. Mercan, M. 'Banking System Comparison in Black Sea Region: Turkish and Georgian Example' 3<sup>rd</sup> International Silk Road Symposium, 2006
5. Mercan, M. 'The role of foreign investment in financial system for development of economy in transition countries: a case of Georgia' 6<sup>th</sup> International Silk Road Symposium, 2011 in process of publication